



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაგრატიონიტი

ბაგრატიონიტი, მინერალ ორთიტის $(Ca, Ce, Mn)_2 (Fe^{2+}Fe^{3+}, Mg) Al[SiO_4] [Si_2O_7]O(OH)$ სახესხვაობა.

კრისტალდება მონოკლინურ სინგონიაში. შავი ან მოყვითალო-მურა ფერისაა. ძლიერ ელვარებს. სისაღე მინერალოგიური სკალით 6; სიმკვრივე 4100 კგ/მ³. რადიოაქტიურია. გვხვდება პეგმატიტურ ძარღვებში. იშვიათ მინათა ელემენტთა მადანია. წარმოადგენს ორთიტის წახნაგებით მდიდარ კრისტალებს.

სახელწ. „ბ.“ უწოდა აკად. ნ. კოქშაროვმა (1847) პეტრე ბაგრატიონის პატივსაცემად.

ვ. ჯავრიშვილი
